

დანართი N -3-

თბილისი და რეგიონები

28-12-2018 წ.

აბონენტი _____

ადასტურებს, რომ ეთანხმება ქვემოთმოცემულ „აქციის“ პირობებს:

„აქციის“ დასახელება – "თებერვლის ინსტალაციის აქცია"

აქციის პირობები:

1. აქციის პირობები ვრცელდება შემდეგ პირებზე / აბონენტებზე:

1.1. პირები, რომლებიც დარეგისტრირდებიან ცალკე მდგომ ოპტიკურ ინტერნეტ მომსახურებაზე ან ოპტიკურ მომსახურებებზე (რომელიც მოიცავს ოპტიკურ ინტერნეტს);

1.2. პირები, რომლებიც დარეგისტრირდებიან ოპტიკურ სამმაგ შეთავაზებაზე;

1.3. „სილქნეტის“ აბონენტები, რომლებიც სარგებლობენ ოპტიკური ინტერნეტ მომსახურებით (ან მომსახურებებით, რომელიც მოიცავს ოპტიკურ ინტერნეტს) და იმატებენ სილქ ტვ მომსახურებას ან მომსახურებებს (რომელიც მოიცავს სილქ ტვ-ს) და აღნიშნული მომსახურებები რეგისტრირდება ერთ ანგარიშზე (ან ერთვებიან ოპტიკურ ორმაგ/სამმაგ შეთავაზებაში);

1.4. „სილქნეტის“ სილქფონ მომსახურების მიმღები აბონენტები, რომლებიც იმატებენ ოპტიკურ სილქ ტვ-ს ან ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებას ერთად და აღნიშნული მომსახურებები რეგისტრირდება ერთ სააბონენტო ანგარიშზე (ან ერთვებიან ოპტიკურ სამმაგ შეთავაზებაში);

1.5. „სილქნეტის“ DSL ინტერნეტ მომსახურების მიმღები აბონენტები, რომლებიც იმატებენ DSL სილქ ტვ მომსახურებას (ან ტვ-ის დამატებით ერთვებიან DSL სამმაგ შეთავაზებაში);

2. წინამდებარე დანართის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ მომსახურებებზე რეგისტრაციის შემთხვევაში, აღნიშნული მომსახურებების ინსტალაციის ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული იქნება შესაბამისი მომსახურებების სააბონენტო გადასახდელში; ამასთან, კერძო სექტორის აბონენტები, რომლებიც დარეგისტრირდებიან პირველი პუნქტით განსაზღვრულ მომსახურებებზე, აღნიშნული მომსახურებ(ებ)ის ინსტალაციის ღირებულება (გარდა აბონენტის სახლამდე ოპტიკური ქსელის მოწყობის ღირებულებისა) გათვალისწინებული იქნება შესაბამისი მომსახურებ(ებ)ის სააბონენტო გადასახდელში;

3. აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვრება **2019 წლის 31 მდეკემბრის ჩათვლით;**

4. აქციის პირობებით მომსახურებ(ებ)ის ინსტალაციის პერიოდი განისაზღვრება **2020 წლის 29 თებერვლის ჩათვლით;**

5. იმ შემთხვევაში, თუ პირი / აბონენტი დარეგისტრირდება აქციის პირობით და დარეგისტრირებული მომსახურებ(ებ)ის ინსტალაციამდე, აქციის პირობით რეგისტრაციის პერიოდის დასრულების შემდეგ, იმავე ანგარიშზე, დამატებით დაარეგისტრირებს ერთ ან რამდენიმე მომსახურებას (გარდა დამატებითი სილქ ტვ მომსახურებისა), ან პირი / აბონენტი ახალი მომსახურების დამატებით ერთვება სამმაგ შეთავაზებაში, აბონენტს შეუწყდება აქციის პირობებით სარგებლობის უფლება;

6. იმ შემთხვევაში, თუ ტექნოლოგიის ცვლილებაზე რეგისტრაციისას აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი არ არის დასრულებული, მოხდება მომსახურების წინამდებარე აქციის დანართით განსაზღვრული პირობებით რეგისტრაცია;

7. იმ შემთხვევაში, თუ მისამართის ცვლილებაზე რეგისტრაციისას აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი არ არის დასრულებული და აბონენტი დაიმატებს პირველი პუნქტით განსაზღვრულ მომსახურებებს, მოხდება აღნიშნული მომსახურებების წინამდებარე აქციის დანართით განსაზღვრული აქციის პირობებით რეგისტრაცია.

შენიშვნა: _____

მხარეთა ხელმოწერები:

სს „სილქნეტის“ წარმომადგენელი _____

აბონენტი _____